საქართველოს პრეზიდენტს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის ანგარიშს:

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 14 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების თაობაზე მოთხოვნა აღნიშნულ პერიოდში არ დაფიქსირებულა.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული. საჯარო ინფორმაციის გაცემის ყველა მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში და წესით. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი თამარ ჩიხრაძე. საკრებულოს სხდომების დახურვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალური მონაცემების შეგროვების,დამუშავებისა, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა.
ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანანამშრომლების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევასა და მათთვის დისციპლინარული სახდელის დადების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.